საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე: „ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები"

შ.პ.ს. „VERSAN"-ის ხელმძღვანელობის თხოვნით, ჩვენს მიერ 2019 წლის მარტში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „საქქალაქმშენ-პროექტი"-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2014 წლის ოქტომბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი ინჟინერ გეოლოგი ა. პასიკაშვილი. მათ გეოტექმიკურ ლაბორატორიაშია ჩარაებული გრუნტების თვისებათა გამკვლევა.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი, აკრეფილი კომპიუტერზე ..... 6 გვ.
2. ტექნიკური დავალება ..... 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ..... 1 გვ.
4. მოედნის ტოპოგეგმა ..... 1 ფურც
5. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები, 4 ჭაბურღილი და 3 შურფი ..... 7 ფურც.
6. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ..... 6 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 12-სართულიანი საცხოვრებელი სახლი ერთი მიწისქვეშა სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით, ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის ტიპსა და ჩაღრმავებას, ის გადაწყდება მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების შემდეგ.

მოედნის საინჟინრო-გეოლოგიური პირობების დასადგენად საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 4 ჭაბურღილი და 3 შურფი. მათი საერთო სიგრძეა ჭაბურღილების – 38 მ. ხოლო შურფების – 8.5 მ. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის შედეგად, მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი.
2. ფენა 2 – კენჭნარი ქვიშის შემავსებლით.
3. ფენა 3 – ძლიერ გამოფიტული სქელშრეებრივი ქვიშაქვები და თხელშრეობრივი არგილითების მორიგეობა.
4. ფენა 4 – ნაკლებად გამოფიტული ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოცემულია ორივე ფენის ძირითადი ქანების დახასიათება. კენჭნარების, გრანულომეტრული შედგენილობა დახასიათებულია აგრეთვე კენჭნარების შემავსებელი, რომელიც ქვიშებით არის წარმოდგენილი. მოცემულია კენჭნარების ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები, ახასიათებს რა ძირითად ქანებს აღნიშნავს, რომ მათი მიმართება ჩრდილო-აღმოსავლურია, ხოლო ქანების დახრის კუთხე 45-55^0 ფარგლებში იცვლება. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ქანების დახრა ფერდოს საწინააღმდეგო მიმართულებითაა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ფერდოს დამეწყვრის საშიშროება არ არის. თანაც, როგორც გეომორფოლოგიური მონაცემებიდან ჩანს, ტერიტორია დიდი დახრით არ ხასიათდება.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა, რაც საკმაოდ გააიოლებს ქვაბულის გაჭრას. ასევე ავღნიშნავთ, რომ ძირითადი ქანები არგილითებისა და ქვისაქვების მორიგეობის ზედა ნაწილი 1.5-1.6მ სიღრმეზე ძლიერ გამოფიტულია, თუმცა ავტორი შესაძლებლად თვლის რომ იგი გამოყენებული იქნეს ფუძე-გრუნტებად, თუ გამოყენებული იქნება რკინაბეტონის ფილა.

საკვლევ უბანზე რაიმე ტიპის გეოდინამიკური (ფიზიკურ-გეოლოგიური) მოვლენა, ან პროცესი არ ფიქსირდება. საშიში გეოლოგიური პროცესების განვითა-რება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საცხოვრებელი სახლის მშენებლობას და ექსპლოატაციას, მოსალოდნელი არ არის.

ადგილის სეისმურობა თანახმად საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონების რუქისა 8 (შვიდი) ბალია.

დასკვნა

ქ. თბილისში, ერისთავის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ - სამშენებლო ნორმების მოთხოვნებს. ჩვენს მიერ გამოთქმული ცალკეული შენიშვნები ჩატარებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა მხედველობაში და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას. იგი შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო-გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გ. ჭოხონელიძე